მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №1

ქ. მარტვილი 17 თებერვალი 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12 სთ-ზე დამთავრდა 13 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლაშა ქობალია, ალექსანდრე გრიგალავა, ჯამბულ ხუროძე, მინდია გაბისონია, კობა ასაბაშვილი, ვახტანგ კეკელია, ელენე კოკაია.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ქობალია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ლაშა ქობალიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი-ლაშა ქობალია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლაშა ქობალიას მოხსენება, ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი სადაც დეტალურადაა აღწერილი აღნიშნული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე გრიგალავამ აღნიშნა, რომ სწორი გადაწყვეტილება იყო როდესაც მოხდა მერიის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციია რის შედეგადაც სოფლის მეურნეობის სამსახური გაუქმდა და 2022 წლის 15 ივნისიდან შეიქმნა, ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება რის შედეგადაც

აღნიშნული სამსახური უფრო ეფექტური გახდა რაც აისახება აღნიშნული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშში, რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობა და აღნიშნული საკითხი მიჩნეულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე გატანისთვის მომზადებულად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ლაშა ქობალია